ოქმი #8

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2025 წლის 29 ოქტომბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), თ. ბუჩუკური, მ. ელიაშვილი, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ო. ჭკადუა, გ. ხარიბეგაშვილი, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 27 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 14 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2025 წლის 15 ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად (*თსუ რექტორის 2025 წლის 8 ოქტომბრის # 237/01-01 გრძანება*). კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

თეორიული ფიზიკის განყოფილება:

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ: გიორგი ჯაფარიძე, თამაზ კერესელიძე, რამაზ ხომერიკი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1) წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **გიორგი ჯაფარიძე** - თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
2. **თამაზ კერესელიძე** - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
3. **რამაზ ხომერიკი** - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს გ. ჯაფარიძე, თავმჯდომარის მოადგილე - თ. კერესელიძე, ხოლო კომისიის მდივანი - რ. ხომერიკი.

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლულმდივანი — ო. ჯოხაძე

ANDREA RAZMADZE MATHEMATICAL INSTITUTE